EVROPUAN FORUM FOR FREEDOM IN EDUCATION EFFE

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიები პედაგოგიკაში

ლექცია-კონსპექტი

თურქეთის საგანმანათლებლო სისტემა

თბილისი

2008

შემდგენელები: ლამარა ჩიკვაიძე, ლალი ბაიაძე და II კურსის სტუდენტთა ჯგუფი: ნატო ჩიტიშვილი, ნათია ბარკალაია, ანა ბიწაძე, თიკო გვენეტაძე, ლანა ვერულაშვილი., იზა კუპრაშვილი, თამუნა შენგელია, თეონა ხუციშვილი, ვახო კბილიანაშვილი, დოქტორანტები: მ.ტყავაშვილი, ნ.შარვაშიძე.
პ ე დ ა გ ო გ ი კ ა.. თურქეთის საგანმანათლებლო სისტემა. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცენლობა. თბილისი. 2008.

კონსულტანტები: თურქეთის საელჩოს განათლების სამრჩევლოს მრჩეველი განათლების დარგში **მელიქ აიანი**., თურქეთის საელჩოს განათლების სამრჩევლოს რეფერენტი **თამუნა ქავთარეძე,** კონსულტანტი ინკლუზიური განათლებაში **პროფ. ქეთევან მაყაშვილი**,

ლექციის კოსპექტი განკუთვნილია, როგორც დამხმარე მასალა პედაგოგიური ტექნოლოგიების კურსის პროგრამისათვის. შინაარსი აგებულია პრინციპით .”პიროვნება პედაგოგიკაში – პედაგოგიკა პიროვნებაში”. კურსი წარმოადგენს მცთელობას იყოს ლოგიკური გაგრძელება წინა გავლილი კურსის “შესავალი თანამედროვე აზროვნებაში” და განკუთვნილია ი.ჭავჭავაძის სტუდენტებისათვის.

საქართველოში პედაგოგიკის კურსში თემა **თურქეთის საგანმანათლებლო სისტემა** იკითხება პირველად. ლექციის კონსპექტს თან ახლავს სემინარის და გამოფენის პროგრამა (**პროფ. ლ.ხომერიკი**, **27** სკოლის პედაგოგი **ქ. კიკნაძე,** მცხეთა-არმაზის პედაგოგი **თ.გურგენიძე**)

effe **2007 წlidan**
გააფართოვა თავისი მონაწილითა გეოგრაფია და აერთიანებს საერთაშორისო . სასწავლო დაწესებულებებს, საქართველო და თურქეთი ამ სისტემის წევრობას აგრძელებენ

კორექტორი : მაია ლამაზოშვილი

ბროშურა დაიბეჭდა გორის სკოლა «ინტელექტის» ფინანსური მხარდაჭერით

© ჩიკვაიძე ლ. და სხვები
ISBN 978-9941-0-0837-5

შესავალი

საოცარია სამყარო თავისი ბუნებით და ხალხით. ბევრი საინტერესო, მოულოდნელი, ზოგჯერ მტკივნეული მოვლენებით აღსავსე.

როგორ და რისთვის ვამზადებთ მომავალ თაობას? რა არის ჩვენი დევიზი? როგორ შევეგებით სიხარულს და დაპრყოლებას? რა იქნება ჩვენი ცხოვრების და პედაგოგიური მოღვაწეობის არსი?

ფელინის ნათქვამი აქვს "ადამიანის სიძლიერე გამოიხატება იმით, თუ როგორ ადგება ის დაცემის შემდეგ".

ოდრი ჰებერნი ამატებს - "როდესაც გაგიჭირდება და დახმარება გჭირდება იცოდე - მარჯვენა ხელი გაქვს, თუ უფრო ძალიან გაგიჭირდება გაიხსენე რომ მარცხენა ხელიცა გაქვს."

2003 წელი. *effe* პრეზიდენტი ეგინჰარდ ფუქსი და რეჯებ არსლანთურქი თურქეთის საელჩოს განათლების სამრჩევლოში

2007 წელი თურქეთის საელჩოს განათლების მრჩეველი მელიქ აიანი საერთაშორისო სტუდენტთა სემინარზე ი.ჭავჭავაძის უნივერსიტეტში

დღეს საქართველოში მიმდინარე რეფორმა ითვალისწინებს შედეგზე ორიენტირებულ განათლებას და სასწავლო ეროვნულ გეგმა საზოგადოებას თავაზობს 5 ძირითად **სიახლეს:**

1. *საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი*
2. *გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები*
3. სწავლა ნიშნავს ინფორმაციის, უნარ ჩვევების და დამოკიდებულებიბის განვითარებას
4. სწავლებაში მოისაზრება არა ერთი კონკრეტული გზის გავლა, არამედ მასწავლებლის და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება
5. მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი

რაც შეეხება **დევიზს** ვფიქრობთ დევიზს თომას ჯეფერსონის და ჰენრი ფორდის სიტყვები გამოხატავენ:

“ ადამიანა უფლება აქვს სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და ბედნიერებისკენ სწრაფვაზე”

თომას ჯეფერსონი

“ ადამიანა უფლება აქვს სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე, საკუთრებაზე და ბედნიერებისკენ სწრაფვაზე”

ჰენრი ფორდი

პედაგოგიური მოღვაწეობის არსი განისაზღვრება იმით რომ “სამყაროს ბედი დედების და ამღზდელების ხელშია”.

თურქეთის საგანმანათლებლო სისტემა აგებულია ათა-თურქის მნიშვნელოვანი რეფორმატურული პროგრამის მიხედვით და დღეს წარმოადგენს ერთ-ერთ პროგრესულ საგანმანათლებლო მაგალითს, სადაც სკოლის-ოჯახის და საზოგადოების ერთობლივი მოღვაწეობას დიდი ყურადღება ეთმობა.

რაც აღსანიშნავია თურქეთმა დიდი ყურადღება დაუთმო ქართველი და თურქი ხალხის დაახლოვებას, ხორციელდება სტუდენტთა, მოსწავლეთა გაცვლა, თურქეთის საელჩოსთან ფუნქციონირებს მუდმივად მომქმქმედი თურქული ენის შემსწავლელთა კურსები. არ შეიძლება არ აღინიშნოს თურქი მასწავლებლების მაღალი კვალიფიკაცია და თანამშრომლობის ახალი ხედვა. ყოველწლიურად 400 მოსწავლეს და მასწავლებელს “ტისა”და თურქეთის საელჩო საქართველოში ანხორციელებს ორგანიზაციას საქართველოდან ბავშვების და პრჰაგოგების გამგზავტებას თურქეთის სხვა და სხვა ქალაქებში, სადაც მასპიზლობას ოჯახები უწევენ.

ქ.ტრაბზონის, გორის “ინტელექტის” და მცხეთა-არმაზის სკოლების მოსწავლეები და

მასწავლებლები ოთო კაკაბაძის ოჯახში ქ.მცხეთა-არმაზში 2003 წელი

სიყვარულით და პატივისცემით ვიხსენებთ თურქეთის ბავშვებს, სკოლას, პედაგოგებს და სანიმუშო ოჯახებს.

როგორ გაიზარდენ ჩვენი პატარა მეგობრები, გვინდა გვჯეროდეს რომ გველოდება კიდე ბევრი "მეგობრობის შეხვედრა".

მადლობას უძღვნით თურქეთის საელჩოს საქართველოში, "ტისას" და მათ თანამშრომლებს, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს რომ ჩვენი მასპინძლობა და სტუმრობა დაგვემახსოვრებია დადებითო ემოციური ფონზე.

თურქეთის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჯგუფი ქ.ტრაბზონიდან და გერესუნიდან თბილისში-გორში-მცხეთა-არმაზში 2003 წელს

თბილისის-გორის-მცხეთა-არმაზის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჯგუფის საპასუხო ვიზიტი თურქეთში ქ.ტრაბზონთი და გერესუნში 2004 წელსსტუმართმოყვარე თურქების ოჯახიბში

ლექცია

გაეცანით – თურქეთს და თურქეთის საგანმანათლებლო სისტემას მოდული 1			
ანოტაციური მიმოხილვა			
თემა 1	თემა 2	თემა 3	თემა 4
მუსტაფა კემალ ათა-თურქი (1881-1938) რეფორმატო-რი – მოღვაწე-ფილოსოფოსი	ნაციონალური გერბი, დროშა	თურქეთის სა-ელჩო საქარ-თველოში და განათლების სამრჩევლო	სახელმწიფო და ნაციონალური დღესასწაულები, ტრადიციები
თემა 5	თემა 6	თემა 7	თემა 8
სუმელას მონასტერი	სტამბული	სამი საოცრე-ბის მემკვიდ-რე	აია-სოფიას ტაძარი სტამბულში
საგანმანატლებლო სისტემა			
თემა 9	თემა 10	თემა 11	თემა 12
9.1. განათლების ზოგადი მიზნები. 9.2. ზოგადი	10.1. მასწავლებელთ პერსონალი 10.2. “კერძო	* “კოლეჯი” * უმაღლესი განათლება	*ლექციის მეთოდური თანამიმდევრობა

პრინციპები **9.3.** საგანათლებ-ლო სისტემის პრიორიტეტები	განათლება” 10.3. სპეციალური, კორექციული პედა-გოგიკა	*საგანმანათლებ ლო კვლევა – ძიება და განვი-თარება*(უმაღლ-ეს სკოლში)*	(ტექნოლოგია) * სემინარის მეთოდური თანმიმდევრობა

ძირითადი მიზნები :

1. ახალი, მასალის მოძიება – წარდგენა: ”თურქეთი და მისი საგანმანათლებლო სისტემა” თემის პრეზენტაციაში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობა.
2. ”ხელოვნური კავშირების” ცნების გაფართოება (1-სემესტრის თეურიული მასალის გახსენება : თემა ”ხელოვნური და ბუნებრივი კავშირები ”, იხილეთ I სემესტრის ლექცია № 2 - კლიუჩევსკი)

თემა 1. ზოგადი ცნობები. მუსტაფა კემალ ათა თურქზე (1881-1938) და თურქეთის ცნობილი მოღვაწეები.

1. 01. მუსტაფა კემალ (1881-1938), ხალხში ცნობილი როგორც ათა-თურქი, დაიბადა საბერძნეთში, სადაც მამამისი მუშაობდა, აქ მიიღო განათლება. ათა-

თურქი თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელია და მისი პირველი პრეზიდენტია, დღესაც მას დიდი ავტორიტეტი მაღალი რეიტინგით სარგებლობს.

სამხედრო სამსახურს გადიოდა მაკედონიაში, ლივიაში, სირიაში, მონაწილეობდა 1912-1913 ბალკანეთის ომში.

პირველი სამამულო ომის დროს 1915 წელს დარდანელის ოპერაციაში .ოსმალური ჯარის სარდალი იყო.

1923 წლის ოქტომბერში თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადებისა მუსტაფა კემალ გახდა მისი I პრეზიდენტი.

მუსტაფა კემალი საერთაშორისო დიპლომატიურ წრეებში ცნობილია როგორც “თვალსაჩინო რეფორმატორი”.

“ათა – თურქი ერთ-ერთი უბრწყინვალესი, დიდად წარმატებული თურქეთის ხალხის ლიდერია. მას გააჩნდა მომავლის თვალთახედვა, როგორც სარდალი ის იყო ძლიერი და უშიშარი პიროვნება” აშშ პრეზიდენტ **ჯონ კენედი**

	"ათა–თურქის სახელი და ავტორიტეტი ცნობილი იყო მთელ მსოფლიოში, მისი წარმატებული მიღწევე-ბი სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდენ. მან გამოაცხადა და განახორციელა ნაციონალური დამო-უკიდებლობა, გააგრძელა თურქული ნაციის ტრადი-ციები და ამასთან ერთად ახალი თაობის დამფუ-ძნებელია, რომელიც არის მშვიდობიან, კეთილგან-წყობილ ორიენტაციის და საერთაშორისო ჰუმანური ფასეულობების გამგრძელებელი."**საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავჯდომარე მ.კალინინი**
მუსტაფა კემალ (1881-1938),	

"ათა – თურქმა თავისი აზროვნებით გაუსწრო საუკუნეებს. მისი მშვიდობიანი პოლიტიკა იქნება სამაგალითო კაცობრიობის ისტორიაში "

საფრანგეთის ექს- პრეზიდენტი ალბერტ ლებრუნი

"ათა – თურქის მიერ მოგებულმა ომმა გადაარჩინა თურქეთი , მისმა შემდგომმა მოღვაწეობამ თურქი ხალხი ახალ ცხოვრებას აზიარა"

ინგლისის პრემიერ-მინისტრი უილსონ ჩერჩილი

აღსანიშნავია ათა – თურქის განწყობა საქართველოს მიმართ :

"ჩვენ დაინტერესებულები ვართ ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველოთი"

ათათურქის რეფორმების და პრინციპების მიმართულება - საგანმანათლებლო სასტემაში.

- ეკლესიის და სკოლის გამიჯვნა;
- განათლებაში. მეცნიერული ნორმების დამკვიდრება და დაცვა;
- შერეული ტიპის სკოლები (გოგონები და ბიჭები ერთად)
- დაგეგვმა (ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების საფუძველზე) ;
- სკოლის და ოჯახის შორის თანამშრომლობა;
- ყოვლისმომცველი, მრავალმხრივი განათლება.

თემა 1. 02. გამოჩენილი მოღვაწეები.

- **იბრაგიმ შინასი** (1826-1871) – ახალი თურქული ლიტერატურის ფუძემდებელი
- **ნამიკ კემალ** (1840-1888) – თურქული რომანის ფუძემდებელი. მთელი მისი ცხოვრების მიზანი იყო სამშობლოს თავისუფლების და ხალხის კეთილდღეობის ხელშეწყობა..
- **თეფიკ ფიკრეტ** (1867-1915) დასავლეთის ორიენტაციის პოეტი,
- **ნაზიმ ხიკმეტ რან** (1902-1963) პოეტი, დრამატურგი, მწერალი, თურქეთის პროგრესული მიმართულების წარმომადგენელი.
- **აზის ნესინ** (1915) ნოველისტი, სატირიკოსი. საერთაშორისო მწერალ – სატირიკოსთა შორის პირველი პრემიის ლაურიატი იტალიაში 1956 და 1957 წლებში

თემა 2. ნაციონალური გერბი, დროშა.

თურქეთის ნაციონალური დროშა მთლიანად წითელი ფერის არის. ამ ფერით გამოხატულია თავისუფლებისათვის ბრძოლაში თურქების მიერ დაღვრილი სისხლი.
ვარსკლავი დროშაზე – AL Tarek დილის ვარსკლავის სიმბოლოა, რომელიც ღამე ამოდის და მორწმუნეები მასზე ლოცულობენ 68 ყურანის სურის მიხედვით.
დროშის ნახევარმთვარ - მუსულმანების გადარჩენის და დაცვის სიმბოლოა.
დროშა მიღებული იყო 1936 წელს.

თურქეთის რესპუბლიკის გერბი – ფიგურული ფარით არის აღბეჭდილი. წითელი ფონზე ნახევარმთვარე და ვარსკლავია აღბეჭდილია, რომლებსაც იგივე სიმბოლური დატვირთვა აქვს რაც დროშაზე.

თემა 3. თურქეთის საელჩო საქართველოში და განათლების სამრჩევლო. (თემა იქნება განხილული სემინარზე ბ-ნ მელიქ აიანის მიერ, თარგმნა თურქულიდან თ. ქავთარაძის)

თემა 4. სახელმწიფო და ნაციონალური დღესასწაულები,
წესჩვეულება:
1 იანვარი – ახალი წელი,
23 აპრილი – თავისუფლების დღე.
19 მაისი – ახალგაზრდობის დღე,
30 აგვისტო – გამარჯვების დღე,
29 ოქტომბერი რესპუბლიკის დღე
რამაზანი – მარხვის შენახვის დასკვნითი თვეა, წლის სხვა და სხვა დღეები აღინიშნება.

თემა 5. ტაო-კლარჯეთი და სუმელას მონასტერი



ტაო-კლარჯეთი ყოფილი ტრაბზონის სამეფოს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ბევრი თვალსაჩინო ძეგლი იზიდავს მეცნიერების და ტურისტების ყურადღებას.

ქ. ტრაბზონთან კარგად შენახული და დაცული სამონასტრო კომპლექსი სუმელა არის განლაგებული. (აგებულია IV-V საუკუნეში) კლდეში გამოკვეთილ საოცარი სილამაზის ტაძარში კარგად შემოინახა მე-5 საუკუნის ფრესკები. დათვალიერების დროს იგრძნობა დავით-გარეჯის და სუმელას არქიტექტურული სულიერი კავშირი, განსაკუთრებული მსგავსება აქვს შიდა ეზოებს.

სასურველია ამ ისტორიული ძეგლეზის საგანმანათლებლო მისიის შესწავლა სტუდენტთა დამოუკიდებელ სამუშაოს შესრულების დროს.

სურ. ტრაბზონი. სუმელას ხედი

თემა 6. სტამბული.

სასახლე "ბეილერბეინი"

კურბან-ბაირამ – მსხვერპლსშეწირვა, აღინიშნება გაზაფხულზე და სხვა და სხვა დღეებში
რელიგიური დღესასწაულები აღინიშნება მუსულმანური მთვარის კალენდარის მიხედვით. აქედან . დასახელება ორნაირი აქვს – არაბული ყორანის შესაბამისად, და ადგილობრივი – თურქების, თათრების, ყაზახების, უზბეკების, აზერბაიჯანის და ა.შ. დამკვიდრებულ წეს-ჩვეულების მიხედვით.
 განსაკუთრებით ყურადღებით ეკიდებიან მსხვერპლშეწირვას, რომელსაც სხვა და სხვა დატვირთვა აქვს.

თემა 7. თურქეთის ტერიტორია - სამი საოცრების და ტროიას მემკვიდრე არის.

ანტიკური ხანის სამი შვიდი საოცრებიდან თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე იყო განლაგებული:

1. *არტემიდას ტაძარი* ეფესში.
2. *გალიკარნასის* მავზოლეუმი.
3. ”სტატუა.-კოლოსი” *როდოსის კუნძულზე, ეს* ყველაზე ცნობილი და ლეგენდარული ანტიკური ხანის ”სტატუა” არის.

საოცარი, ცნობილი *ტროია* არის განლაგებული დარდანელის სრუტესთან, მისი ნანგრევები უძველესი ისტორიის მოწმენი არიან და დღეს უამრავი ტურისტს

იზიდავს. დღეს აქ დგას ძველი ლეგენდარული ცხენის მოდელი და გვაგონებს ახელესის საოცარ რაინდს და მეომარს.



თემა 8 აია-სოფიას ტაძარი სტამბულში.

” აია-სოფიის ტაძარს სტამბულში ერთ –ერთ რვა საოცრებიდან ასახელებენ”, ამავე დროს აია-სოფიას ტაძარი მსოფლიოში ყველაზე ღირშესანიშნავი არქიტექტურული ძეგლს მიეკუთვნება.





თემა 9.1 განათლების ზოგადი მიზნები.

მ ი ზ ნ ე ბ ი^:

- შეუძლია გაითავისოს ათა-თურქის **<u>რეფორმების და პრინციპების მიდგომები რითაც ამაღლდება თურქი ერის ეროვნული, მორალური და კულტურული ღირებულებები, კერძოდ :</u>**

1. აღზარდონ ყველა თურქი როგორც პიროვნება, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი მოვალეობები თურქი ერის მიმართ და რომელსაც ესმის ათა-თურქის მოთხოვნა ნაციის ამაღლების სული,

<u>2.</u> როგორც შემოქმედ - კონსტრუქციული და "პროდუქციული" პიროვნება,

<u>3.</u> გაწონასწორებული ხასიათით,

<u>4.</u> ჯანსაღი პიროვნება და სრულყოფილად ჩამოყალიბებული გონებრივ, მორალურ, სულიერ და ემოციურ ასპექტებში;

5. ამის გარდა ისინი უნდა აზროვნებდენ როგორც პიროვნებები თავისუფლად და რაციონალური მსჯელობის და
6. რომლებსაც ესმით მსოფლიო პრინციპები,
7. პატივს სცემს უფროსებს და
8. აფასებს ინდივიდუალობას და მეწარმეობას - მოამზადონ ისინი ცხოვრებისათვის მათი ინტერესების და შესაძლებლობის გათვალისწინებით და
9. უზრუნველყონ რომ ისინი იღებდნენ სათანადო ცოდნას და უ ნ ა რ ე ბ ს რომელიც აუცილებელია საზოგადოების ასევე მათი პირადი

კეთილდღეობისათვის ძირითადი პრინციპების და მიზნების განხორციელებისათვის.

10. თანასწორობა განათლებაში (საგანმანათლებლო დაწესებულება ღიაა ყველასათვის მიუხედავად რასისა, სქესისა და რელიგიისა)

ორიენტაცია	პიროვნებაზე, იმ პროგრამაზე რომელიც შეესაბამება მის ინტერესებს, ნიჭს და შესაძლებლობებს
უწყვეტობა	სახელმწიფო უზრუნველყოფს უწყვეტი განათლებას სიბერემდე.

თემა 9.2 ათათურქის რეფორმები და **ზოგადი პრინციპები -** საგანმანათლებლო სასტემაში :

- ეკლესიის და სკოლის გამიჯვნა.
- მეცნიერული ნორმები განათლებაში.
- შერეული ტიპის სკოლები (გოგონები და ბიჭები ერთად)
- დაგეგვმა (ეროვნული საგანმანათლებლო სისტემა იგეგმება შესაბამისად ქვეყნაში არსებული ეკონომიური, სოციალური და კულტურული განვითარების საფუძველზე)
- თანამშრომლობა სკოლის და ოჯახის შორის;
- ყოვლისმომცველი განათლება.

თემა 9. 3. **თურქეთის საგანათლებლო სისტემის პრიორიტეტები**

- თურქეთის განათლების სისტემის მიზნები განსაზღვრულია ეროვნული განათლების გეგმით და სახელმწიფო პროგრამებით

- თურქეთის სახელმწიფო საშუალო და სპეციალური განათლების პროგრამები ითვალისწინებენ სათანადო გამოხმაურებას მრეწვე-ლობის განვითარებაზე.
- **1996-2000 ხუთწლიანი თურქეთის** განვითარების გეგმაში გათვალისწინებულია გაძლიერდეს განათლების დარგის დაფინანსება :

- 16% სკოლამდელ განათლებაში;
- 100% რვა წლიან სავალდებულო დაწყებით განათლებაში;
- 75% საშუალო განათლებაში;
- 31% უმაღლესი განათლებაში (აქედან ფორმალური განათლება 19%).

1996 წლის მაისში მოწვეულმა განათლების ეროვნულმა საბჭომ გაამახვილა ყურადღება შემდეგ მთავარ საკითხებზე :

- დაწყებითი განათლება და მისი ორიენტაცია;
- საშუალო განათლება და მისი ორიენტაცია;
- უმაღლესი განათლების საფეხურების რეორგანიზაცია;

= საზოგადოების საგანმანათლებლო საჭიროების მოთხოვნების დაკმაყოფილება *(განათლების სისტემა უნდა პასუხობდეს საზოგადოების მოთხოვნას)*

- უფროსების ქსელის ჩამოყალიბება.

1997 წელს 17 აგვისტოს, ეროვნული საგანმანათლებლო საბჭოს რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გამოვიდა კანონი რომელიც ითვალისწინებდა **:**

_ 6-14 წლამდე ყველა ბავშვისათვის– რვა წლიანი განათლება სავალდებულო გამხდარიყო.

_ პროექტის - "გლობალიზაცია 2000" გათვალისწინება და ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება მ ი ზ ა ნ ს წარმოადგენდა ის რომ განათლების სისტემა ყოფილიყო ორიენტირებული XXI საუკუნის მოსალოდნელ სოციალურ, მეცნიერულ და ტექნოლოგიურ განვითარებას.

- ორცვლიანი განათლების გაუქმება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქების ზოგიერთ რ-ში

- თითეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობის შემცირება 30- მდე;
- მოსწავლეების უფასოდ ავტობუსით მგზავრობა, თუ ისინი მოშორებით ან პატარა სოფლებში ცხოვრობენ;
- დამატებით რეგიონალური დაწყებითი სკოლების გახსნა;
- სოციალურად გაჭირვებულ ოჯახების ბავშვების უზრუნველყოფა სასკოლო უნიფორმებით, ჩანთებით, სახელმძღვანელოებით, რვეულებით;
- "ფორმალური" განათლების მხარდაჭერის მიზნით, დისტანციური განათლების ქსელის გაზრდა.
- კომპიუტერული კლასის მოწყობა დაწყებით სკოლაში.
- ყველა სტუდენტის უზრუნველყოფა სპეციალური კომპიუტურული განათლებით.
- დაწყებით კლასებში უნდა ისწავლებოდეს სულ მცირე ერთი უცხო ენა;
- სკოლების აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური აპარატურით;
- სკოლაში უნდა დაინერგოს "შედეგზე ორიენტირებული სწავლება"

- განათლება მიმართული უნდა იყოს იმაზე რომ - საზოგადოების თითეული წევრს შეეძლოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება;
- გამახვილდეს ყურადღება პროფესიულ და ტექნიკურ განათლებაზე;
- პროფესიული სტანდარტების დაფუძნება და შესაბამისი სამოდულო (მოდული-მონათესავე საკითხების ჯგუფი) პროგრამებით უზრუ-ნველყოფა;
- **გონებრივი განვითარების კვალდაკვალ, შეიქმნას პირობები ბავშვის ფიზიკური განვითარებისათვის;**
- შეიქმნას პირობები გაფართოვდეს სპორტული მოედნების და დარბაზების რაოდენობა და გაუმჯობესდეს ბაზა;
- გარემონტდეს ძველი სასკოლო შენობები და სპორტული დარბაზები და მოედნები;
- ხუთწლიანი დაწყებითი განათლების კურსდამთავრებულებს, მიეცეთ საშუალება გაიარონ რვაწლიანი განათლების კურსი;.

10.01. მასწავლებელთა პერსონალი

№43 ბრძანების საგანმანათლებლო ძირითადი პუნქტი განსაზღვრავს მოთხოვნებს მასწავლებელთა სპეციალური (აქ საუბარია საპროგრამო სტანდარტებზე) ცოდნის შესახებ და ზუსტად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ მოვალეობას - დროულად დაგეგმოს და ჩაატაროს მასწავლებლებისთვის ტრენინგები.
ტ რ ე ი ნ ი ნ გ ე ბ ი დაუკავშიროს ძირითადი საპროგრამო მასალას და ახალ საგანმანათლებლო და საწარმოო მოთხოვნილებებს.

ამავე კანონის 45 პუნქტში ნაჩვენებია რომ მასწავლებელთა ტრეინინგი შეიცავს საგნის ცოდნისა და უნარების არეალის გაფართოებას და პროფესიის სწავლებას.

ტრეინინგისთვის მასწავლებლები შეირჩევიან უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ. არჩევანი ხდება რამდენიმე კატეგორიიდან:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან;
- მმართველობითი დაწესებულებებიდან;
- საზღვარგარეთის დაწესებულებებიდან, მასწვლებელს უნდა ჰქოდეს საერთაშორისო სერთიფიცირებული დიპლომი ;

მასწავლებლის ტ რ ე ნ ი ნ გ ე ბ ი

- მასწავლებლები გადიან სწავლებას (ტრენინგს) უმაღლესი განათლების სამინისტროს დაქვემდებარებული საშუალო საგანმანათლებლო სკოლებში.
- ყველა მასწავლებელი ვალდებულია ფლობდეს საგანს მთლიანობაში, მიუხედავად იმისა თუ რა დონეზე ასწავლის ის სკოლაში, ამასთან ერთად უნდა გადიოდეს უცხო ენის კურს ოთხი წლის განმავლობაში და ფლობდეს არა ნაკლებ მეორადი დონისა.
- ახლად დამთავრებული მასწავლებელი გადის 3 ან 10 თვის განმავლობაში სწავლების პრაქტიკას სკოლაში, სადაც მათი ხელმძღვანელები გამოცდილი მასწავლებლები და სკოლის მენეჯერები არიან. ვინც წარმატებით დაამთავრებს ამ სასწავლო პერიოდს არიან შემდეგ დანიშნულები, როგორც მუდმივი მასწავლებლები. ვინც ვერ ჩააბარებს აქვს უფლება ხელმეორედ ჩააბარონ გამოცდა.
- შიდა ტრენინგები ეწყობა ტრენინგის ცენტრის მიერ და განსაზღვრავს სასწავლო მოქმედებების პრინციპებს. წელიწადში 1000-1200 მასწავლებელი არის ტრენინგის მონაწილე.

მასწავლებლის სამუშაო დატვირთვა დამოკიდებულია განათლების დონეზე, სასწავლო გეგმებზე და დამატებით სასწავლო სოციალურ პირობებზე და საერთო კულტურულ ღონისძიებებზე, არსებული სხვა მოვალეობებზე.

ყველა დონის მასწავლებლები დამატებით ასრულებენ "კლასის დამრიგებლის" მოვალეობას 3 საათი კვირაში. ორი საათი საგანმანათლებლო საქმიანობაში, ერთი საათი სახელმძღვანელო საქმიანობა. ამის გარდა იღებენ მონაწილეობას სკოლის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებებში, რომელიც იგეგმება სკოლაში დაფუძნებულ ასოციაციის მიერ.

აკადემიური წლის დასაწყისში და ბოლოში 6-8 კლასის მასწავლებლებს, უტარებენ ყოველწლიურ სემინარს. 24 საათი ერთი კვირის განმავლობაში, სადაც 18 საათი ჩვეულებრივ ექსტერნად უტარდებათ.

<u>ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში</u> მასწავლებელი მუშაობს 15 საათს კვირაში, ნორმალური ანაზღაურებით.

პროფესიული-ტექნიკურ სკოლებში მასწავლებელი მუშაობს 20 საათს კვირაში

თემა 10.02 "კერძო განათლება"

თურქეთში კერძო საგანმანათლებლო "ინსტიტუტები" მიღებული ფორმაა. ეს არის სკოლებიდან დაწყებული ყველა სახის და პროფილის სასწავლებლები. აქ ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება სხვა და სხვა კურსები.

კერძო საგანმანათლებლო ("ინსტიტუტების") სასწავლებლის ფორმას განსაზღვრავენ, 625 – კანონზე დაყრდნობით.

ყველა კერძო საგანმანათლებლო "ინსსტიტუტები" თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს კონტროლს ექვემდებარებიან.

კერძო სკოლები ექვემდებარებიან სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნებს და წესებს.

სკოლები, რომლებიც ახორციელებენ თავიანთ სპეციალურ პროგრამას, თვით ამზადებენ კვირეულ ცხრილს იმ პროგრამით რომელიც თავად სურთ და წარადგენენ განათლების სამინისტროში.

<u>კერძო საგანმანათლებლო "ინსტიტუტების" დაარსება და ფუქციონირება ხორციელდება სხვა და სხვა ინტერესებიდან გამომდინარე, კერძოდ:</u>

ა) კერძო სკოლები თურქი სახელმწიფოს და კორპორაციების ინტერესებიდან გამომდინარე;
ბ) კერძო სკოლები დაარსებული უცხოელი კორპორაციებიდან;
გ) კერძო სკოლები დაარსებული არა მუსლიმანურ საზოგადოებიდან, მაგალითად : ბერძნული, სომხური, ებრაული;

დ) ინტერნაციონალური კერძო საგანმანათლებლო ინსტიტუტებისაგან, მაგალითად ან მხოლოდ ინდივიდუალური, ან დამატებითი ინტერესებიდან გამომდინარე სასწავლო კურსები. ეს შეიძლება იყოს თურქული ან უცხოური კორპორაციის დაკვეთა უცხო ენის შესწავლისათვის.

10.3 თემა სპეციალური განათლება (კორექციული)

1983 წელს მიღებულ განათლების კანონში № 2916 მუხლში არის გათვალისწინებული სპეციალური განათლება, აღნიშნულია მისი მნიშვნელოვანი ასპექტი.

ეს კანონი განსაზღვრავს კერძო განათლებას უნარ-შეზღუდული ბავშვებისათვის 4-18 წლამდე ასაკისათვის.

ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან ბავშვები რომლებიც თავისი ფიზიკური, გონებრივი, ფსიქოლოგიური, სოციალური ან ჯამრთელობის დარღვევა გააჩნიათ და სჭირდებათ განათლების სპეციალური სერვისი .

ეს სერვისი ხორციელდება დამატებითი საგანმანათლებლო კანონებით, სადაც სპეციალური განათლებისათვის განსხვავებული საშტატო განაკვეთებია დამტკიცებული.

ინსტიტუტების, სტუდენტთა და მასწავლებელთა შტატები სპეციალური განათლებისათვის

სასწავლებლის პროფილი	ინსტიტუტე-ბის რაოდენობა	სტუდენტთა რაოდენობა	მასწავლებელთა რაოდენო-ბა
სკოლა გარეგნულად დაზიანებულებისათვის	11	946	245
სკოლა სმენა დაქვეითებისათვის	56	6946	1026
სკოლა ორთოგრაფიულად უნარწართმეულები	45	2217	386
სკოლა გონებრივად უნარწართმეულებისათვის	6	272	68
სკოლა სწავლებისათვის და განათლებისათვის გონებრივად დაზიანებულთათვის	65	3016	591
ნიჭიერი გაზრდილ გონებრივ უნარწართმეულებისათვის სასწავლო ცენტრებისათვის	3	207	29
დამოუკიდებელი საბავშო ბაღი	1	20	2
საავადმყოფო დაწყებითი სკოლა	27	*	51
მეცნიერება და ხელოვნების ნიჭისთვის	5	42	15

სპეციალური განათლების კლასი	697	7,927	873
მთლიანი განათლება	**	10946	**
ხელმძღვანელთა და სამეცნიერო კვლევის ცენტრი	103	-	646
სულ	1019	32542	3932

თემა 11.01 კოლეჯები.

კოლეჯი ამზადებს მოსწავლეებს მომავალ უმაღლეს განათლებისათვის. კოლეჯების სპეციალიზაცია :

- კოლეჯები უცხო ენების ინტენსიური სწავლებისათვის;
- Anatolian კოლეჯები სადაც უცხო ენები – ინგლისური, ფრანგული, გერმანული ისწავლება, და ამასთან ერთად სხვა საგნებს. ასწავლიან. სწავლება უზრუნველყოფს მოსწავლის მომზადებას უმაღლეს სასწავლებლისათვის;.
- საღამოს სწავლების კოლეჯები;
- კერძო პიროვნული (ინდივიდუალური) სწავლების კოლეჯი;
- პროფესიული კოლეჯები სამ წლიანი საშუალი განათლებით. Mმომზადების კვალიფიკაცია ხორციელდება სხვა და სხვა პროფილით. ვისაც სურვილი აქვს შეუძლიათ ერთდროულად მოემზადოს უმაღლესი განათლებისათვის. პროფესიული უმაღლესი კოლეჯებში სწავლის სავარაუდო ხანგრძლიობა არის 41 საათი კვირაში;

თემა 11.02. უმაღლესი განათლება.

1992 წლის უმაღლესი განათლების კანონმა განსაზღვრა პროფესორ-მასწავლებლების მოწვევის ახალი ნომინაციები, შემოღებული იქნა პროფესორის და ასისტენტის შერჩევის ახალი პროცედურა.

<u>უნივერსიტეტი</u>

- 6 კანდიდატს “სრული პროფესორის ” თანამდებობაზე ირჩევს ფაკულტეტის საბჭო ან კრება
- ამ 6-დან უმაღლესი განათლების საბჭო ფარული კენჭის ყრით ირჩევს 3 კანდიდატურას.
- შემდეგ 3 უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ არჩეული კანდიდატსა შორის რესპუბლიკის პრეზიდენტი აირჩევს ერთს რომელსაც ნიშნავს რექტორად 4 წლის ვადით.
- დეკანები ინიშნებიან საბჭოს მიერ და კანდიდატურას ამტკიცებს რექტორი. /სამი სრულ პროფესორის შორის/.

- ყოველი ფაკულტეტის განყოფილება შეიცავს ქვეგანყოფილებას, მის თავჯდომარეს ირჩევენ ფაკულტეტის წევრები.
- ქვეგანაყოფებში თავის მხრიდან დეკანატის წევრებს ირჩევენ და ისინი ღებულობენ გადაწყვეტილებას მათი უფროსის დანიშვნის შესახებ.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში მომუშავე პერსონალს აქვთ "მოსამსახურის" სტატუსი, გარდა კვლევითი სექტორის სადაც ასისტენტები და ასისტენტ-პროფესორები მუშაობენ.
- აკადემიური და ადმინისტრაციული მომუშავე პერსონალის რაოდენობას ყოველ 3- წელიწადში განსაზღვრავს (უნივერსიტეტის) პარლამენტი.
- უნივერსიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტი იხილება და მტკიცდება უმაღლესი განათლების საბჭოს მიერ და შემდეგ უნდა შეთანხმებული იყოს ფინანსთა სამინისტროში

Uუნივერსიტეტს გააჩნია სამი შემოსავლის წყარო :

1. უნივერსიტეტის შემოსავალი: აბიტურენტებისაგან , კონტრაქტები-საგან კვლევის ჩატარებაზე და სხვა.
2. ფონდი მაღალ დაფინანსების მომსახურებაზე;
3. კვლევის ფონდი გრანტების სახით.

თემა 11,03 საგანმანათლებლო კვლევა – ძიება და განვითარება

(უმაღლეს სკოლში)

თურქეთში კვლევა-ძიება უკავშირდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას.

უმაღლესი განათლების კვლევა რეგულირდება უმაღლეს სასწავლებლის საბჭოს მიერ (yok), სტუდენტების შერჩევის და გაცნობის ცენტრით (osym) და საგანმანათლებლო ფაკულტეტით.

yok- უმაღლესი სასწავლებლის საბჭო უწევს კოორდინაციას უმაღლესი სკოლის პროგრამების განხორციელებას, განვითარებას და შეფასებას.

osym - სტუდენტების შერჩევის და გაცნობის ცენტრი აწარმოებს კვლევას ძირითადად იმ საკითხებზე, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებთან

საგანმანათლებლო ფაკულტეტზე – ატარებენ კვლევა-ძიებას განათლების დარგში სხვა და სხვა დონეზე

დამუშავებული რეფერატები ქვეყნდება თურქეთის აკადემიურ ჟურნალებში და საზღვარგარეთის ქვეყნებში.

კვლევითი და განვითარების საკითხები, რომელიც ეხება უფრო დაბალ 1 საფეხურს, რომელიც შეიცავს სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო დონეებს ხორციელდება განათლების ეროვნული სამინისტროს მიერ.

2000 წელს 4000 სკოლა აღჭურვილი იყო ინფორმაციული ტექნოლოგიური საკლასო ოთახებით სადაც 15+1 ან 20+1 კომპიუტერი არის. ამ სკოლების უმეტესობას ინტერნეტი აქვს.

12.01. ლექციის მეთოდური თანამიმდევრობა (3) - სავარაუდო ნიმუში
(დავალება დამოუკიდებელი მუშაობისათვის : მოამზადეთ მოდულიდან 2 თემა)

მოდული 1

თემა	**თანამიმდევრობა**	
1. პედაგოგის და სტუდენტის ამოცანათა კრებული	* თემის წარდგენა * ახალი ტერმინების დაფიქსირება "პინვანდის სურათებზე"	*დავალება 1* დარიგდეს პინვანდის სურათები
2. მასალის წარდგენის სახე	* ლექციის წარდგენა * ტერმინების კრებული პინვანტზე	
3. პედაგოგის და სტუდენტის აქტივობა და რესურსი	* ლექციამდე საკითხავი მასალის რეკომენდაცია * დამოუკიდებლად დამატებითი მასალის მოპოვება * პინვანდის მასალის ანალიზი და საკონტროლო ტესტებში გამოყენება	სტუდენტის მიერ დამოუკიდებლად 2 ტესტის შედგენა
4. აქტიური ნაწილი	მუშაობა პინვანტზე	
5. დასკვნა	სასწავლო მიზნების კონტროლი	

12.02 სემინარის მეთოდური თანამიმდევრობა
(იხილეთ მაგალითი სემინარის პროგრამა 08.09.2007)

გამოყენებული ლიტერატურა

1. არსლანთურქ რ., ჩიკვაიძე ლ., ქავთარეზე თ., ისმაილოვა ზ. საბავშო ტურისმი- (გაეცანით თურქეთს) თბილისი-ტრაბზონი-გერესუნი 2006. გვ. 14-55.(რუსულ და თურქულ ენაზე)
2. თურქეთის საგანმანათლებლო სისტემა . 2000. (ინგლისურად)
3. IBC. Berufiche Bilding und Cχnsulting GmbH. Berlin. 2002 (თარგმანი ქართულად)
4. Чикваидзе Л., Хашимова А., Исмаилова З. Содержание образования как средство культуры общения и гражданского воспитания. ГТЦ (*Восток-Запад – взаимодействие культур*), 2005. 71с.
5. ȝttp://ru.ϑikipedia.org

15 /10.2007(თბილისი) 22 /102007(გორი)

15.00. – 15.05 სემინარის გახსნა. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი პროფ. ლელა ხომერიკი.

15.05. – 15.12 თურქეთის საგანმანათლებლო სისტემის თავისებურებანი პედაგოგიკის კურსში. პროფ. ლამარა ჩიკვაიძე

სტუდენტთა დამოუკიდებელი სამუშაოების პ რ ე ზ ე ნ ტ ა ც ი ა

15.12 - 15.19 "განათლების პრინციპები და ზოგადი მიზნები" ნატო ჩიტიშვილი

15.19 - 15.25 "თურქეთის საგანმანათლებლო სისტემის პრიორიტეტები" ნათია ბარკალაია

15.25 - 15..33 "მასწავლებელი და მათი ტრენინგები" ანა ბიწაძე

15.34 - 15.40 "კვლევა-ძიება და განვითარება" თიკო გვენეტაძე, ლანა ვერულაშვილი

15.40 - 15.46 "კერძო განათლება" იზა კუპრაშვილი

15.46 - 15.52 "სპეციალური (კორექციული) განათლება" თამუნა შენგელია (კონსულტანტი **პროფ. ქეთი მაყაშვილი**)

15.52 - 15.56 "სკოლა - ლიცეუმი" თეონა ხუციშვილი

15.56 - 16.00 "უმაღლესი განათლება" ვახო კბილიანაშვილი

<u>15.56 – 16.10 შესვენება</u>

16.10 - 16.35 დ ი ს კ უ ს ი ა

16.35 - 16.40 თურქეთის საელჩო, განათლების სამრჩევლო, მრჩეველი განათლების დარგში **მელიქ აიანი**., რეფერენტი **თამუნა ქავთარეძე**

16.40 სემინარის დახურვა.

PS. – 1. სასტენდო გამოფენა "საბავშო ტურიზმი", (სტამბული, ტრაპიზონი, გირესუნი, ანკარა)

გორის სკოლა "ინტელექტი", **პროფ. ლალი ბაიაძე**

მცხეთა-არმაზის დაწყებითი სკოლა, **თინა გურგენიძე**

თბილისის № 27 სკოლა, სკოლის დირექტორი **ბაჩა ფრუიძე,** პედაგოგი **ქეთევან კიკნაძე**

2. სემინარის ორგანიზატორები გორში – სსიპ გორის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ზაზა ცოტნიაშვილი; დეკანი პროფ. მზია ზანგულაძე; ასპირანტურის უფროსი ნოდარ მირაზანაშვილი.

თურქი მოსწავლეები ქ.თბილისის რუსთაველის გამზირზე
2004 წელი



შეხვედრა ქ. ტრაბზონის სკოლაში და
სუმელაში 2005 წ.

ქ.ტრაბზონის, ქ. მცხეთა-არმაზის მოსწავლეები და მასწავლებლები გორის სკოლა
“ინტელექტში”
2003 წელი

მასალის თარგმნის და წარდგენის კონფერენციაზე თბილისში და გორში
ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფი. **2007წ**